ლელო
დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი
16 მარტი, შაბათი, 1991 წ.
№ 48 (10461) ● ფასი 10 კაპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში — წელი მეორე



ახლებურად ჩატარდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა

გუშინ თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა.

დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი — „საქართველოს 1991 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურებში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

როგორც გულშემატკივრებისთვის ცნობილია, არსებობდა სხვა, ალტერნატიული შეხედულება მეორე ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურის თაობაზე, — კერძოდ, წლევანდელ ჩემპიონატშიც 1990 წლის დებულების დაცვა — რამაც განსაზღვრა ყრილობის დაძაბული ატმოსფერო.

დელეგატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ჩემპიონატის ახლებურად ჩატარებას. დღეს, 16 მარტს დაიწყება მეორე ეროვნული საგაზაფხულო ჩემპიონატი, რომელიც ერთ წრედ მოეწყობა და 25 ივნისამდე გასტანს.

ფოთი
წყალსათხილამურო
სპორტში ევროპის
1991 წლის
ჩემპიონატის
მასპინძელი

საქართველოს სიყვარულით...

ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში. ჩატარების ადგილი ფოთი, დრო 1991 წლის აგვისტო. ვინ იცის, რამდენი წინააღმდეგობის დაძლევა, რამდენი ძალისხმევა დასჭირდა, რომ სასურველ რეალობად ქცეულიყო.

— ჩვენი ქალაქისთვის და საერთოდ მთელი რესპუბლიკისთვის დიდი პატივია ასეთი ავტორიტეტული ჩემპიონატის მასპინძლობა, თავს არ შევირცხვენთ, თუ საჭიროა, შრომით რაზმებსაც შევქმნით — ასეთია ფოთის, ამ უძველესი საზღვაო ქალაქის მცხოვრებთა ერთსულოვანი აზრი, რომელიც არაერთხელ გამოთქმულა ჩემპიონატისათვის მზადება-ჩატარების საკითხებზე ფოთში გამართულ შეხვედრებზე თუ კერძო საუბრებში.

უცხოელი ექსპერტები არასდროს აჭარბებენ შეფასებაში, ემოციებს არ აყვებიან, რასაც ფიქრობენ იმას ამბობენ და რასაც ამბობენ, აკეთებენ კიდეც. ისინი არაერთხელ ეწვივნენ ფოთს, რელიეფს, წყლის „სიმსუბუქეს“, შეჯიბრების ადგილს მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდნენ, მაგრამ ... საშეჯიბრო მოთხოვნები, ინფრასტრუქტურა?.. ჯერ სტუმართა მხრიდან კეთილი სურვილები იყო, მერე და მერე კი, როცა ყოველი ახალი სტუმრობისას ხედავდნენ, რომ შეგვეძლო მათი მოთხოვნების შესრულება, სერიოზულად დაიწყეს მოლაპარაკება.

ობრი შინა — წყალსათხილამურო სპორტის ევროპის ფედერაციის პრეზიდენტი, იმდენად დაინტერესდა ახალი წყალსათხილამურო ცენტრის აღმოჩენით, რომ პრობლემების მოგვარებაშიც აღგვითქვა დახმარება. მსოფლიო ფედერაციაში შუამავლობასაც დაგვპირდა — ვინ იცის, მომავალში იქნებ ფოთში მსოფლიოს საუკეთესო წყალმოთხილამურეთა ასპარეზობაც ვიხილოთ.

...უამრავი საზრუნავი გაგვიჩინა ჩემპიონატის მასპინძლობამ. რესპუბლიკის მთავრობა, მიუხედავად მრავალი სიძნელეებისა, მთელი სერიოზულობით მოეკიდა ჩემპიონატისათვის მზადებას. მთავრობის დონეზე ჩატარდა რამდენიმე სხდომა, გამოიკვეთა შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა, განაწილდა ფუნქციები პასუხისმგებელი მუშაკები კონკრეტული დავალების შესასრულებლად.

1990 წლის 9 დეკემბერი. ფოთში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დავალებით საგანგებო დელეგაცია ჩავიდა, იმავე დღეს იქვე ჩატარდა ჩემპიონატის მომზადების ხელმძღვანელობის სამთავრობო სამუშაო ჯგუფის სხდომა სამინისტროებისა და უწყებების, სპორტსახკომის, ფოთის ხელმძღვანელების მონაწილეობით. სამთავრობო სამუშაო ჯგუფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი დანიელ სიბაშვილი ჩაუდგა სათავეში.

საგულისხმოა, მიუხედავად სირთულეებისა, არავის უცდია პასუხი-

იხ. მე-2 გვ.

„იბერია“ მიზნებით და პრობლემებით

პრობლემები დღეს ყველგანაა და არც საფეხბურთო ცხოვრებაა გამონაკლისი. ადრე ასე იყო, თბილისის „დინამოს“ საქმეებში ყველა ერეოდა ქალაქის ხელმძღვანელების გარდა.

ამ დღეებში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ირაკლი ანდრიაძე დიღმის საწვრთნელ ბაზას ეწვია, სადაც შეხვდა თბილისის „იბერიის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს და მის ხელმძღვანელებს. საუბარი შეეხო მტკივნეულ საკითხებს. განსაკუთრებით ხაზი გაესვა კლუბის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, თუმცა, მასპინძლებმა მადლიერებით აღნიშნეს ბატონ ირაკლი ანდრიაძის წვლილი „იბერიის“ ფეხბურთელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, რაც გუნდის შედეგებსაც დაეტყობა.

ალმასკომის თავმჯდომარემ კლუბს მიულოცა ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყება. თქვა, რომ „იბერია“ ყოველთვის უნდა იდგეს მოწინავეთა რიგებში, დაუბრუნოს ქართულ ფეხბურთს ტრადიციული აღიარება. მზად ვართ, ყოველთვის მხარში ამოგიდგეთ, გულშემატკივრები კარგ ფეხბურთს ელიან თქვენგან...

• • •

შეხვედრის დასასრულს გუნდის უფროს მწვრთნელს დავით ყიფიანს ვთხოვეთ მოკლედ მოეთხრო ახალი საფეხბურთო სეზონისათვის გუნდის მზადყოფნის შესახებ, აი, რა თქვა მან:

— „იბერია“ პასუხისმგებლობით მოემზადა ახალი სეზონისათვის. განწყობილება და, რაც მთავარია, ფეხბურთელების ურთიერთდამოკიდებულება კარგია. ვიცით, რომ ქართველი გულშემატკივრები დიდი ხანია მოთმინებით ელიან ნამდვილ, ლამაზ ფეხბურთს და ეს ღრმად აქვს გათვითცნობიერებული თითოეულ მოთამაშეს. ცხადია, ყველა იმ პრობლემას, რაც ჩვენ წინაშე დგას, გულშემატკივარს ვერ მოახვევ თავს, თუმცა, სატკივარი თავს მაინც არ მალავს. პირველ ყოვლისა, ესაა გუნდის მატერიალური მდგომარეობა. კარგად გვესმის, თავი და თავი სამამულო ფეხბურთია, საამაყოა, ეროვნული დროშის ქვეშ მატჩის ჩატარება, მაგრამ, თუ საერთაშორისო ასპარეზზე ვერ გავედით, მხოლოდ საქართველოს გუნდებთან თამაში ბევრს ვერაფერს მოგვიტანს. ისე კი, კერძო მიწვევებიც გვაქვს — სოსო ჭედია შვეციის, ხოლო გია გურული პოლონეთის მოწინავე კლუბებში თამაშობენ, — სხვა ფეხბურთელებზეც დიდი დაინტერესებაა, მაგრამ ჯერჯერობით მშობლიურ გუნდს არ ტოვებენ. ქართველებმა, დიახაც, უნდა ითამაშონ მსოფლიოს საუკეთესო გუნდებში. მე პირადად, ამაში დიდ პერსპექტივას ვხედავ.

გუნდი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ემზადებოდა, სადაც ყველა პირობები იყო შექმნილი სავარჯიშოდ. ერთი კი უნდა აღინიშნოს, რომ ლოკომოტივის ბაზა, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ეკუთვნის, სასურველია დაუქვემდებარდეს დიღმის საწვრთნელ კომპლექსს და საერთოდ, აქ შეიძლება ფეხბურთის ცენტრის ჩამოყალიბება.

დაბოლოს, მინდა დაგარწმუნოთ, რომ გუნდი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია.

ლუიზა ედილაშვილი,
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პრესცენტრის რედაქტორი.

იხ. მე-3 გვ.

რეფერენდუმის წინ

მხოლოდ 31 მარტს!

თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, აგრეთვე კომიტეტს დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა მრავალეროვანი კოლექტივები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას და ამიტომ უკლებლივ გამოვცხადდებით რეფერენდუმზე 31 მარტს.

17 მარტს რეფერენდუმში მონაწილეობას არ მივიღებთ.

ვლადიმერ კანკავა,
კომიტეტის თავმჯდომარე.

შეჯამდა კონკურსის შედეგები

ცნობილი გახდა საერთაშორისო დიდოსტატის იოსებ კრიხელის პირველი მემორიალის საბოლოო შედეგები. კონკურსის სპონსორი გახლდათ ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის გორის საქალაქო განყოფილება. წინასწარი შედეგები სრული სახით გამოქვეყნდა გაზეთ „მერანში“ — № 5 და № 6 1990 წ.

ჟიურიმ შემოსული შენიშვნების გათვალისწინებით კონკურსიდან მოხსნა ს. ზახაროვის ამოცანა (I პრიზი), შ. და რ. წურწუმიების (I პრიზი), მ. გოგბერაშვილის და ვ. ნეიძის (II პრიზი) ეტიუდები.

მრავალსვლიანი ამოცანების განყოფილებაში I პრიზი მიეკუთვნა ი. ვლადიმიროვს, II პრიზი ზ. ზაგორუიკოს, III პრიზი ვ. ლოზუნოვს (სამივე — მოსკოვი). დანარჩენი შეფასებანი არ შეცვლილა.

მოგებაზე შედგენილი ეტიუდების განყოფილება: I პრიზი — რ. თავარიანი, (თბილისი) და ლ. კაცნელსონი (ლენინგრადი), II პრიზი — ლ. მილკოვი (ირკუტსკი), III პრიზი — შ. და რ. წურწუმიები (ჩხოროწყუ). სხვა შეფასებანი უცვლელი დარჩა.

ყაიმზე შედგენილი ეტიუდების შედეგებიც უცვლელი დარჩა. აქ გაიმარჯვა ვ. კალანდაძემ (თბილისი). II-IV პრიზები თანაბარი ქულებით სხვებთან ერთად მოიპოვა ე. კვეზერელმა.

დავით გურგენიძე,
კონკურსის მსაჯი, საერთაშორისო დიდოსტატი, საჭადრაკო კომპოზიციაში.

ინფორმაცია

მოჭადრაკე ვაჟთა პირველი ლიგის საქართველოს პირველობის III ტურის შემდეგ კვლავ უდანაკარგოდ ლიდერობს თბილისელი ხვიჩა სუპატაშვილი. შოთა კუჭუხიძემ (ქუთაისი) და რევაზ კაკაბაძემ (თბილისი) 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს. ლიდერთა ჯგუფს კვალდაკვალ მიჰყვება 12 მოჭადრაკე, რომელთაც 2-2 ქულა აქვთ.

ვასილ ვაშაკიძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.

გვახსოვხართ, ჩემპიონებო!

„სროლის ჯენტლმენი“ თეთრ ხალათში

პალატიდან ფონენდოსკოპიანი ჩია ტანის მამაკაცი გამოვიდა. ეს არის მარლენ პაპავა, გვითხრა მედდამ და თეთრხალათიანს გასძახა, — ბატონო მარლენ, თქვენ გელოდებიანო. გულში გამკენწლა, ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი სხვაგვარი აღნაგობის წარმომედგინა. ვიფიქრე, რამე დამთხვევა ხომ არ არის-მეთქი და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩემი ეჭვები ახალგაცნობილს გავუზიარე. გაეცინა. თქვენს წინაშე, სწორედ ის არის, ვისაც ეძებთო. კაბინეტში შეგვიძღვა..

— **პატარა** ტანის გამო ცხოვრებაში მრავალი კურიოზი გადამხდენია. მეექვსე კლასში ვიყავი, ზღვაზე ბანაობისას ტალღამ გამიტაცა და თავით კლდეს მიმანარცხა, რის შემდეგაც ახლომხედველი გავხდი, თუმცა, ამის შესახებ მოგვიანებით გავიგე. მახსოვს, სამხედროს მასწავლებელმა ტირში წაგვიყვანა. ჩემი ნასროლი საერთოდ აცდა მიზანს, არადა, მაშინ აკრობატიკაში ვვარჯიშობდი, პირველთანრიგოსანს თავი სპორტსმენად მომქონდა. ამხანაგებმა სიცილი დამაყარეს. შინ მისულმა სხვებისაგან მალულად ბევრი ვიტირე, მეორე დღეს კი დოსააფის კლუბში ნაცნობს მივაკითხე, ჩემი გასაჭირი ვუამბე, მან დახმარება აღმითქვა, სნაიპერთა სკოლაში მიმიყვანა და ვიქტორ მოროზოვს ჩააბარა ჩემი თავი. ექვსი თვე მხოლოდ თეორიაში გვამეცადინეს, შემდეგ ტირში წაგვიყვანეს. სამას მეტრზე მსხვილკალიბრიანი შაშხანიდან ჩოქელა უნდა გვესროლა. იარაღი მოვიმარჯვე, ის იყო სასხლეტ კაუჭს თითი გამოვკარი... კონდახის დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ თავი ვერ შევიმაგრე და უკან გადავვარდი. ბიჭები ახარხარდნენ. გალიმებულმა მწვრთნელმა კი შემაქო, თურმე მიზანში ზუსტად მომირტყავს. ერთი თვის სისტემატური ვარჯიშით პირველი თანრიგის ნორმატივი შევასრულე. მოგვიანებით პისტოლეტითა და მცირეკალიბრიანი შაშხანით დავიწყეთ მეცადინეობა. სნაიპერულ იარაღს ოპტიკური გასახედი ჰქონდა და დამიზნებისას კორექციას ვახდენდი, აქ კი ოპტიკის გარეშე სამიზნეს ბუნდოვნად ვხედავდი, ასე მეგონა, ყველა ჩემს დღეში იყო, ამიტომ არაფერს ვამბობდი. არადა, შედეგები საგრძნობლად გამიუარესდა. როგორც უპერსპექტივო, სნაიპერთა სკოლიდან დამითხოვეს. მეც ვირწმუნე, ჩემგან მსროლელი არ გამოვიდოდა და ახლა ალპინიზმი ამოვიღე ნიშანში. ამ ამბიდან ერთი წელიც არ იყო გასული, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მწვრთნელ პიოტრ ტერეხოვს შევხვდით. ვარჯიშს თავი რატომ დაანებეო, მკითხა. დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი. მან თვალის ექიმთან მიმიყვანა. იქ გაირკვა, რომ მას შემდეგ, რაც ზღვის ტალღამ კლდეს მიმანარცხა, ახლომხედველი გავმხდარვარ...

ტერეხოვმა თავის გჯუფში ჩამრიცხა. ერთი თვის შემდეგ კი წარმატებით გამოვედი საქართველოს მოსწავლეთა პირველობაში, მწვრთნელმა თენგიზ ხერხეულიძემ მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებში მიმიწვია.

თენგიზ ხერხეულიძე — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის დოცენტი:

მოგონება პირველი

„შეჯიბრების მონაწილეებისაგან მარლენი განსაკუთრებით გამოირჩეოდა საზრიანობითა და გადამწყვეტ მომენტში მობილიზაციის უნარით. ცეცხლის ხაზზე „დაღვინებული“ სპორტსმენივით იქცეოდა. შემდგომი ჩვენი ურთიერთობით გამოირკვა, რომ ის არის ფრიად მიზანსწრაფული და შრომისმოყვარე...“

— ჩემი პროფესიონალ სპორტსმენად ჩამოყალიბება უმთავრესად არმიის რიგებში მოხდა. თბილისში ვმსახურობდი. ოთხ თვეში პისტოლეტიდან სროლის სამ სახეობაში — რპ-5, მპ-6 და მპ-8 ვარჯიშში სპორტის ოსტატის ნორმატივები შევასრულე. უკეთეს შედეგებს მპ-6 ვარჯიშში მივაღწიე. ამიტომ შემდგომი დაოსტატებაც ამ სახეობაში გადავწყვიტე. აქ კერპიც მყავდა — უფროსი თაობის წარმომადგენელი ვახტანგ სალუქვაძე. ვცდილობდი მისთვის მიმებაძა, ბატონი ვახტანგი, მიუხედავად იმისა, რომ მისი უშუალო კონკურენტი ვიზრდებოდი, ყოველმხრივ მიწყობდა ხელს დაოსტატებაში. ასეთი რამ მხოლოდ დიდ პიროვნებებს სჩვევიათ.

სამხედრო სამსახურის შემდეგ სპორტსაზოგადოება „დინამოში“ განვაგრძე ვარჯიში თენგიზ ხერხეულიძისა და მიხეილ თურქიას ხელმძღვანელობით. ჩემს ყველა წარმატებას უმთავრესად ამ ადამიანებს ვუმადლი.

პირველი დიდი აღიარება 1965 წელს მოვიდა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოვიპოვე და საკავშირო ნაკრებშიც მიმიწვიეს. 1967 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. როგორც ქვეყნის ნაკრების წევრს, ხშირად საკავშირო-საწვრთნელ შეკრებებზე გამგზავრება მიწევდა, ეს კი სწავლაში მიშლიდა ხელს. ნაკრების მთავარ მწვრთნელს ევგენი პოლიკანინს ავუხსენი მდგომარეობა და ვთხოვე, ჩემთვის თბილისში ინდივიდუალურად ვარჯიშის ნება დაერთო, ხოლო მოსკოვში დროდადრო ჩავსულიყავი დაგეგმილი ნორმატივების ჩასაბარებლად. დამთანხმდა. სიტყვა რომ არ გამეტეხა, ყოველდღიურად ექვს საათს ვმეცადინეობდი, მათ შორის ორ საათზე მეტს ტირში ვატარებდი. თენგიზ ხერხეულიძესთან ერთად ვარჯიშის ახალი მეთოდი შევიმუშავეთ — სროლის ელემენტის დანაწევრებით დამუშავება და შემდგომში მათი ინტეგრალური სრულყოფა. ხშირად აუტოგენურ და იდეომოტორულ წვრთნასაც მივმართავდით — საათი და ორმოცდახუთი წუთი ძილის წინ პისტოლეტით ვარჯიშის მთელ ციკლს ვიმეორებდი...

1968 წელს გერმანიაში საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრების წინ მოსკოვში გამომიძახეს საკონტროლო ნორმატივების ჩასაბარებლად. ფსიქოლოგების ჯგუფმა უარყოფითი დახასიათება მომცა — გადაღლილია, ფიზიკურად სუსტია და მომავალი შეჯიბრების რიტმს ვერ გაუძლებსო. ცხადია, მწვრთნელებმაც უარი მითხრეს. მაშინ პოლიკანინს ვთხოვე, თუ ჩემი არ გჯერათ, გამომცადეთ — პისტოლეტს, რომელიც კილო შვიდასს იწონიდა, სამი წუთი ნიშანში დამიზნებულს დავიჭერ, შემდეგ კი საკონტროლო „ათიანში“ მოვახვედრებ-მეთქი. ჩემი სენსაციური თხოვნა უმალ ყველამ შეიტყო. სასროლეთზე ორმოცამდე კაცი შეიკრიბა — მწვრთნელები, სპორტსმენები, ექიმები, ფსიქოლოგები, რაოდენ დიდი იყო მათი გაკვირვება, რომ არ შევრცხვი, ამას არავინ მოელოდა. იძულებული გახდნენ და კვლავ ჩამრიცხეს ნაკრებში, მაგრამ, რადგანაც ინსტიტუტში საზაფხულო სესიები მქონდა ჩასაბარებელი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წასვლაზე უარი ვთქვი.

● **მწვრთნელებთან სხვა დროსაც მოგხვლიათ კონფლიქტი?**

— დროდადრო იყო ასეთი შემთხვევები. ნაკრების ხელმძღვანელებთან ერთ-ერთი ამგვარი შეკამათება 1967 წელს მომიხდა, რის გამოც მაშინ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ წავედი.

● **1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატიც ამ მიზეზით გამოტოვეთ?**

— არა, მაშინ საბჭოთა გუნდი საერთოდ არ წასულა შეჯიბრებაზე. იმ დროს საბჭოთა კავშირს სამხრეთ კორეასთან, ასპარეზობის მასპინძელ ქვეყანასთან, დიპლომატიური ურთიერთობა არ ჰქონდა. ამიტომ არ გაგვიშვეს ჩემპიონატზე.

მოგონება მეორე

„საქართველოს სპორტსმენებს ყოველთვის უძნელდებოდათ საკავშირო ნაკრებში მოხვედრა, რადგან მათ დამატებით სიძნელეებს უქმნიდნენ. ამ მხრივ, გამონაკლისი არც მარლენ პაპავას სპორტული კარიერა ყოფილა. მახსოვს, 1966 წელს ქვეყნის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში ჩემი შეგირდიც იყო, ბულგარეთს გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირზე. შეჯიბრებისას მარლენის ამოსამიზნი ნახევარი საათი საფარიდან არ ამოუწევიათ თითქოსდა დაზიანების გამო. სინამდვილეში კი ეს სპორტსმენზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის იყო გამიზნული. ცუდი შედეგების შემთხვევაში ნაკრების ხელმძღვანელებს მიზეზი გაუჩნდებოდათ, რომ იგი მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაეყვანათ. მარლენმა კი წარმატებით ჩააბარა ეს ფსიქოლოგიური გამოცდა — საერთაშორისო ტურნირის მთავარი ჯილდო მოიგო“.

მარლენ პაპავა (მარცხნივ) და ტაილანდელი ალან რივეირა მონრეალის ოლიმპიურ სასროლეთზე.

● **ბატონო მარლენ, თქვენ ორჯერ ევროპის, ოთხჯერ კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყავით. როგორ ფიქრობთ, ამ მიღწევებით თქვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეთ?**

— არა მგონია. ხელი რომ არ მოეცარვოდა, 1976 წელს მონრეალიდან ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი უნდა ჩამომეტანა. თქვენ მეტყვით, ყველა სპორტსმენი ასე ფიქრობსო, თავად განსაჯეთ: ოლიმპიადის წინ პარიზში ევროპის ჩემპიონობა მოვიპოვე, ყველა კონკურენტს საგრძნობლად გავუსწარი. მსოფლიოში საუკეთესო შედეგიც მქონდა — 577 ქულა, მაგრამ მონრეალის ღია სარბიელზე მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ასპარეზობის დროს ქარმა დაუბერა. გულში გამკრა, ვაითუ ამან იმოქმედოს დაგეგმილი შედეგის მიღწევაზე-მეთქი და სწორედ ეს შიში ძვირად დამიჯდა. ვარჯიშების დროს თუ თვალდახუჭული ტყვიას ყოველთვის „ათიანებსა“ და „ცხრიანებში“ ვახვედრებდი, ოლიმპიადაზე „შვიდიანები“ და „რვიანებიც“ ბლომად აღმომაჩნდა. საბოლოოდ მეცხრამეტე ადგილი დავიკავე. ეს იყო ჩემი სპორტული კარიერის მანძილზე ყველაზე მწარე მარცხი, რამაც ძალიან დამწყვიტა გული, მით უმეტეს, რომ ახალგაზრდა გერმანელმა მსროლელმა უვე პოტეკმა ოქროს მედალი სულ რაღაც 573 ქულით დაიმსახურა.

● **თქვენი ჯილდოების კოლექციას ორი განსხვავებული ექსპონატიც ამშვენებს — „სროლის ჯენტლმენი“ და ინგლისის „სამეფო კარის მსროლელთა ორდენი“...**

— 1969 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ასპარეზობისას ოცდამეთორმეტე გასროლა უცაბედი გამომივიდა, ტყვია მიწას მოხვდა. ეს არავის შეუმჩნევია. მეც მშვიდად დავამთავრე შეჯიბრება. ბოლო სამიზნეზე, ცხადია, ოთხი ნასროლი მქონდა, მაგრამ მსაჯებმა, იცოდნენ რა ჩემი ოსტატობა, ჩათვალეს, რომ ერთგან „ათიანში“ ტყვია ტყვიაში იყო ჩამჯდარი, ამიტომ 578 ქულა დამიანგარიშეს და ჩემპიონად გამომაცხადეს. თავი ვერ შევიკავე და მსაჯთა კოლეგიას სიმართლე ვუთხარი. ამ „რაინდობით“ ოქროს მედალი, საკავშირო რეკორდისთვის განკუთვნილი საპრიზო თანხა და თანაგუნდელებთან ერთად პრემიაც დავკარგე, მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო, უსინდისობა გამომივიდოდა. ამ აღსარების შემდეგ მსაჯებმა ერთი „ათიანი“ დამაკლეს, მაგრამ მესამე ადგილზე მაინც გავედი. შემდეგ ამ ამბის გამო ერთ-ერთ საკავშირო ტურნირზე ჯილდოდ გადმომცეს „სროლის ჯენტლმენის“ პრიზი — ჩემი პისტოლეტის ვერცხლის მაკეტი. რაც შეეხება მეორე ნადავლს, იგი 1976 წელს ინგლისში დავიმსახურე. ლონდონში საერთაშორისო ტურნირზე ყოფნისას მასპინძლებმა შემოგვთავაზეს გვეასპარეზა უჩვეულო შეჯიბრებაში — არასტანდარტული მდგომარეობიდან 1100 იარდზე ინგლისური ნიმუშის მსხვილკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. ჩვენი გუნდიდან პირველი მე განვაცხადე თანხმობა. მეწყვილედ მყავდა ინგლისის დედოფლის ახლო ნათესავი ქალი (სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს). მის მიერ მოწოდებული შაშხანა იღბლიანი გამოდგა. ასპარეზობა ჩვენ მოვიგეთ და „სამეფო კარის მსროლელთა ორდენიც“ დავიმსახურეთ.

● **ბატონო მარლენ, თქვენ ექიმი ბრძანდებით. როგორ ფიქრობთ, თქვენს მიერ დასმული დიაგნოზი ყოველთვის ისევე ზუსტია, როგორც თავის დროზე სამიზნესკენ გაგზავნილი ტყვიები?**

— ჩემს ყველაზე დიდ ნაკლად სწორედ იმას ვთვლი, რომ, ალბათ, ვერასდროს გავხდები ისეთი პროფესიონალი ექიმი, როგორი პროფესიონალი მსროლელიც ვიყავი, თუმცა კი ძალიან ვცდილობ.

მოგონება მესამე

„შარშან ზაფხულში მარლენი ერთი დღით ჩამოვიდა თბილისში. გამგზავრების წინ დამირეკა, შეროზიას ქუჩაზე დავთქვით შეხვედრა. თვითმფრინავზე აგვიანდებოდა. მანქანაში ჩავსხედით. ის იყო მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრს მივუახლოვდით, რომ ქუჩაში დავარდნილი კაცი შევნიშნეთ, რომელსაც გამვლელები შემოხვეოდნენ. მარლენი მაშინვე გადავიდა მანქანიდან, ავადმყოფი გასინჯა თუ არა, დიაგნოზიც უმალ დასვა — ეპილეფსიური შეტევა, უცნობი [illegible] საავადმყოფოში მივიყვანეთ. სანამ ექიმებმა მარლენის რეკომენდაციით ავადმყოფს სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს და მდგომარეობიდან არ გამოიყვანეს, საავადმყოფოდან ფეხი არ მოგვიცვლია. ცხადია, თვითმფრინავზე დააგვიანდა, ამიტომ საღამოს მატარებლით გაემგზავრა სოხუმს“.

● **ბატონო მარლენ, ერთი არასპორტული შეკითხვაც. საბჭოთა კავშირში 17 მარტის რეფერენდუმს ბევრგან, მათ შორის საქართველოში, ბოიკოტი გამოუცხადეს. მიუხედავად ამისა, აფხაზეთმა მაინც გადაწყვიტა [illegible] მოსკოვს. თქვენი, როგორც აქაური მაცხოვრებლის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი.**

— მე და ჩემი ოჯახის წევრები საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობას არ მივიღებთ, რადგან არ ვიცით, მომავალი კავშირით რა ხრიკს გვიმზადებს კრემლი. ისე, მგონია, რომ აფხაზეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის დამოკიდებულება ამ რეფერენდუმისადმი უარყოფითი იქნება, მათიც, ვინც გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით საარჩევნო უბნებში მივა.

● **მაშ, რას მივაწეროთ ის დაძაბულობა, რაც საკავშირო რეფერენდუმის წინ აფხაზეთში და, კერძოდ, სოხუმში იგრძნობა?**

— მე მონაწილე ვარ შარშანწინდელი ივლისის დღეებისა. იმ საბედისწერო შეჯახების დროს მე და ცნობილმა ძალოსანმა რუსლან ტარკილმა თორმეტ დაზარალებულს აღმოვუჩინეთ პირველადი დახმარება და საავადმყოფოში გავგზავნეთ. ჩემი ღრმა რწმენით, აფხაზ ხალხს არც ივლისის დღეებამდე და არც მას შემდეგ ქართველებთან გასაყოფი არაფერი აქვს, ამიტომ არ შეიძლება მათი გაიგივება იმ პარტიულ ფუნქციონერებთან, რომლებიც პრივილეგიების დაკარგვის შიშით არაფერზე იხევენ უკან. მათი მოწყობილი იყო შარშანწინდელი შეტაკება, ახლაც ისინი ძაბავენ ურთიერთობას. კრემლის რეფერენდუმისადმი მხარდაჭერაც სავარძლების შენარჩუნების მიზნით უკანასკნელი გაბრძოლებაა პრეზიდენტის საამებლად. სამწუხაროა, რომ მათ ნასროლ ანკესზე ბევრი უნებისყოფო ადამიანიც წამოეგო.

● **იცით, რომ თქვენი პასუხები პრესაში გამოქვეყნდება. კი მაგრამ, არ გეშინიათ?**

— „ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“. ესეც არ იყოს, მე კომუნისტი არა ვარ და დასაკარგავიც არაფერი მაქვს. ჩემი კარიერა კარგი სპეციალისტობა და ავადმყოფებისადმი გულთბილი დამოკიდებულებაა. ამას კი, გურამიშვილის თქმისა არ იყოს, ძალით ვერავინ წამართმევს.

● **და ბოლოს, რა სურვილები გაქვთ?**

— რამდენადაც ვიცი, მსოფლიოს ვეტერანი მსროლელები თავიანთ ჩემპიონატებს და საერთაშორისო შეჯიბრებებს ატარებენ. ურიგო არ იქნებოდა, საქართველოს ვეტერან მსროლელთა კავშირი რომ ჩამოგვეყალიბებინა და მჭიდრო კონტაქტები დაგვემყარებინა სხვა ქვეყნების მსგავს ორგანიზაციებთან, მოგვეწვია ისინი ჩვენთან ერთობლივი შეჯიბრების გასამართავად, რითაც ახალგაზრდებს კარგ მაგალითს მივცემდით.

მე აქტიურ სპორტს მაშინ გამოვეთხოვე, როცა სროლა ჩემთვის ხელოვნებად იქცა. მოხარული ვიქნები, თუ მომეცემა საშუალება, კვლავ გავიდე ცეცხლის ხაზზე საქართველოს სახელით.

ესაუბრა ვაჟა დანელია.
სოხუმი.

საქართველოს სიყვარულით...

(დასასრული)

სმგებლობის თავიდან აცილება—საქმე ეხება რესპუბლიკის პრესტიჟს, ესე იგი, გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს — ასეთი იყო საერთო სულისკვეთება.

სამუშაოების დაჩქარებისათვის წამოიჭრა ჩემპიონატის დირექციის შექმნის საკითხი. ამჟამად ოპერატიულად ხორციელდება ყველა სამუშაოთა ხელმძღვანელობა, რომლის კოორდინაცია თავის ხელში აიღო საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციამ. ფედერაციის თავმჯდომარე რომან მელია, რომელმაც უდიდესი პირადი წვლილი შეიტანა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარების, არამედ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლად ფოთის მხარდაჭერის საქმეში, დღენიადაგ მშენებარე ობიექტებზეა.

გამოვა თუ არა საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე, როგორც დამოუკიდებელი გუნდი? ეს საკითხი არაერთხელ დაისვა. ცხადია, საკავშირო ფედერაციას თავდაპირველად ამ წინადადების გაგონებაც არ სურდა, მაგრამ, კიდევ კარგი, ყველაფერი მათზე არ არის დამოკიდებული — საერთაშორისო ფედერაცია დათანხმდა ჩემპიონატში საქართველოს წარმომადგენელთა ცალკე გუნდად მონაწილეობაზე. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ უკვე მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენები ხათუნა კორკელია, გენადი გურალია, ვასილი ბუდუროვი, პერსპექტიული წყალმოთხილამურე გიორგი სურგულაძე და სხვები.

საწყალოსნო სპორტის სახეობების რესპუბლიკური გაერთიანებიდან გვაცნობეს, რომ მოგვარდა მეორე საკითხიც — ამერიკულმა ფირმა „სუპრამ“, რომელიც ჩემპიონატის სპონსორია, ვალდებულება აიღო საქართველოს ნაკრები ჩემპიონატისთვის, ჯორჯიის შტატში, თავის ხარჯზე მოამზადოს სამი თვის განმავლობაში. ამ დღეებში კი ისიც შევიტყვეთ, რომ „სუპრას“ პრეზიდენტმა ჯონ ფოვლერმა საქართველოს ნაკრებს თხილამურები და საასპარეზო ტანსაცმელი გამოუგზავნა. სხვათა შორის, „სუპრამ“ გამოგზავნა ორი კატერიც, რომლის ღირებულება 30 ათასი დოლარი გადაიხადა საქართველოს სანაოსნომ.

როგორც ვიუწყებოდით, დამთავრდა ტრიბუნის აგება, მაღალი ტემპით მიმდინარეობს სპორტკომპლექსის ტერიტორიაზე 54 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მთავარი ობიექტის — საქგეოლოგიის პიონერთა ბანაკი „მალთაყვას“ (ეს იქნება ცენტრალური სასტუმრო) და სასტუმრო „აიეტის“ რეკონსტრუქცია, სანიაღვრო არხის მოწყობა გურიის ქუჩაზე, ამავე ქუჩის კაპიტალური შეკეთება, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა, ხელოვნურ არხზე დაკიდებული ხიდის მოწყობა, საასპარეზო კომპლექსზე შეუდგნენ ელექტროტაბლოს დამონტაჟებას.

ფოთი უდიდესი და პრესტიჟული სპორტული ასპარეზობის მოლოდინშია, ყველაფერი კეთდება საქართველოს სიყვარულით, მის სადიდებლად.

ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში—წელი მეორე

საქართველოს საგაზაფხულო ჩემპიონატის დებულება

16 მარტს იწყება საქართველოს 1991 წლის საგაზაფხულო პირველობა ფეხბურთში, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია.

ჩემპიონატის კალენდარული მატჩები გაიმართება იმ ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ საფეხბურთო შეჯიბრების ჩატარების წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების იმ გუნდებისთვის, რომლებიც არ არიან დაშვებულნი რესპუბლიკის საგაზაფხულო ჩემპიონატში, გაიმართება ზონალური შესარჩევი თამაშები.

უმაღლეს ჯგუფში მონაწილეობას მიიღებს 20 გუნდი: „იბერია“ (თბილისი), „გურია“ (ლანჩხუთი), „გორდა“ (რუსთავი), „ქუთაისი“ (ქუთაისი), „კოლხეთი-1913“ (ფოთი), „ბათუმი“ (ბათუმი), „ცხუმი“ (სოხუმი), „ოდიში“ (ზუგდიდი), „მერცხალი“ (ოზურგეთი), „დილა“ (გორი), „კოლხეთი“ (ხობი), „სანავარდო“ (სამტრედია), „მზიური“ (გალი), „სამგურალი“ (წყალტუბო), „ივერია“ (ხაშური), „შევარდენი-1906“ (თბილისი), „ამირანი“ (ოჩამჩირე), „სულორი“ (ვანი), „მარგვეთი“ (ზესტაფონი), „ალაზანი“ (გურჯაანი).

ასევე 20 გუნდი გამოდის **I ჯგუფში**: „კახეთი“ (თელავი), „არაგვი“ (დუშეთი), „სიხარული-90“ (გაგრა), „იმერეთი“ (ხონი), „ქართლი“ (გორი), „შუქურა“ (ქობულეთი), „სქური“ (წალენჯიხა), „მაღაროელი“ (ჭიათურა), „საპოვნელა“ (თერჯოლა), „ჩიხურა“ (საჩხერე), „სიონი“ (ბოლნისი), „არმაზი“ (მცხეთა), ბახტრიონი“ (ახმეტა), „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ), „დურუჯი“ (ყვარელი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი), „ოკრიბა“ (ტყიბული), „მრეტები“ (თბილისი), „ეგრისი“ (სენაკი).

მეორე ჯგუფის გუნდები დანაწილებულნი არიან 4 ქვეჯგუფად.

„ა“ ქვეჯგუფი: „ალგეთი“ (მარნეული), „კრწანისი“ (თბილისი), „ჰერეთი“ (ლაგოდეხი), „სამგორი“ (გარდაბანი), „ერწუხი“ (წნორი), „გარეჯი“ (საგარეჯო), „ჭაბუკიანი“ (ჭაბუკიანი), „გარისი“ (თეთრი წყარო), „ნაფარეული“ (ნაფარეული), „თუშეთი“ (ალვანი), „შირაქი“ (წითელწყარო), განთიადი“ (დმანისი), „რუსთავი“ (რუსთავი), „იორი“ (თიანეთი), „თრიალეთი“ (წალკა), „ვაზისუბანი“ (გურჯაანი), „ვარდისუბანი“ (თელავი), ვარდისუბანი“ (ლაგოდეხი), „არმაზი-90“ (თბილისი).

„ბ“ ქვეჯგუფი: „მერანი“ (თბილისი), „თორი“ (ბორჯომი), „მგლები“ (თბილისი), „მუხნარი“ (მუხრანი), „ფარავანი“ (ბოგდანოვკა), „ზარზმა“ (ადიგენი), „იბერია“ (ქარელი), „ვარძია“ (ასპინძა), „მესხეთი“ (ახალციხე), „აბული“ (ახალქალაქი), „განთიადი“ (კასპი), „სამცხე“ (აწყური), „დიღომი“ (თბილისი), „ჯეჯილი“ (თბილისი), სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი), „იმედი“ (თბილისი), „ანცი“ (თბილისი), „ქაზრეთი“ (ბოლნისი), „მერანი-91“ (თბილისი).

„გ“ ქვეჯგუფი: „იმედი“ (ლაითური), „ბეთლემი“ (ქედა), „გურია-2“ (ლანჩხუთი), „ბახმარო“ (ჩოხატაური), „ქუთაისი-2“ (ქუთაისი), „აისი“ (ქუთაისი), „მენავთობე“ (ბათუმი), „საირმე“ (ბაღდათი), „რაჭა“ (ამბროლაური), „ცხრაჯვარი“ (ტყიბული), „მამისონი“ (ონი), „უქიმერიონი“ (ქუთაისი), „ჩხერიმელი“ (ხარაგაული), „სურამი“ (სურამი), „ზესტაფონი“ (ზესტაფონი), „მეშაქრე“ (აგარა), „ხვამლი“ (ცაგერი), „მეგობრობა-89“ (ბათუმი).

„დ“ ქვეჯგუფი: „ჭყონდიდი“ (მარტვილი), „ჩელა“ (დარჩელი), „მამული“ (დიდი ჭყონი), „ლაშქინდარი“ (ტყვარჩელი), „კოლხეთი-2“ (ფოთი), „შევარდენი“ (ზუგდიდი), „კოლხი“ (გულრიფში), „სუბტროპიკი“ (სოხუმი), „კოლხეთი-2“ (ხობი), „ზანა“ (აბაშა), „სამტრედია“ (სამტრედია), „მშენებელი“ (ჭიათურა), „ზღვაია“ (წალენჯიხა), „ენგური-90“ (ჯვარი), „ოჯალეში“ (ბანძა), „ზუგდიდი-91“ (ზუგდიდი), „თუთარჩელა“ (ხაბუმე), „სათანჯო“ (გალი).

საქართველოს საგაზაფხულო ჩემპიონატი ჩატარდება ერთ წრედ. მოგებისთვის გუნდს დაეწერება 3 ქულა, ფრედ დამთავრებული შეხვედრისთვის — 1 ქულა, დამარცხებისთვის — 0 ქულა.

თუ ორი გუნდი დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, ჯგუფებში და ქვეჯგუფებში პირველი ადგილების გამოსავლენად ამ გუნდებს შორის ნეიტრალურ მინდორზე დაინიშნება დამატებითი შეხვედრა. იმ შემთხვევაში, თუ სამი ან მეტი გუნდი დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, გამარჯვებულის გამოსავლენად ამ გუნდებს შორის ერთ წრედ მოეწყობა დამატებითი ტურნირი. მომდევნო ადგილების გამოსავლენად ქულათა თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ გუნდს, რომელსაც მოგებათა მეტი რაოდენობა ექნება, შემდეგ გაითვალისწინებენ უშუალოდ ერთმანეთთან ნათამაშევი მატჩების შედეგებს (ჯერ ქულების რაოდენობას და შემდეგ — ბურთების უკეთეს სხვაობას). მერე უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც მთლიანად ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა ექნება. თუ ეს მაჩვენებელიც ერთნაირი იქნა, უკვე გაითვალისწინებენ საერთოდ ჩემპიონატში გატანილი გოლების რაოდენობას.

ყველა ამ მაჩვენებლის თანაბრობის შემთხვევაში ყურადღება მიექცევა დისციპლინური დარღვევების ნაკლებ რაოდენობას და თუ ესეც ერთნაირი იქნა — მოეწყობა კენჭისყრა.

საგაზაფხულო პირველობაზე უმაღლეს ჯგუფში ბოლო ადგილზე გასული გუნდი ადგილის შესანარჩუნებლად ნეიტრალურ მინდორზე ერთ გადასავლელ მატჩს გამართავს პირველ ჯგუფში გამარჯვებულ გუნდთან.

პირველ ჯგუფში მე-17-მე-20 ადგილებზე გასული გუნდები ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად ნეიტრალურ მინდორზე ჩაატარებენ თითო გადასასვლელ მატჩს მეორე ჯგუფის ქვეჯგუფებში გამარჯვებულ გუნდებთან (მეტოქე წყვილებს ამ შემთხვევაში განსაზღვრავს კენჭისყრა). გამარჯვებული გუნდები მომდევნო ჩემპიონატში ითამაშებენ პირველ ჯგუფში.

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი, № 2)

21 მარტი ● ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

„იბერია“ (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი)

მატჩის დამთავრების შემდეგ ჩატარდება ნივთების ლატარია, გათამაშდება უკანასკნელი მოდელის იტალიური წარმოების ფირმა „ფიატ“ „ტიპოს“ ხუთი ავტომანქანა.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში, ყოველდღე, დილის 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე).

ჩემპიონატის კალენდარი

I ტური
16 მარტი
„იბერია“ (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი)
„გურია“ (ლანჩხუთი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი)
„გორდა“ (რუსთავი) — „სულორი“ (ვანი)
„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე)
„კოლხეთი“-1913 (ფოთი) — „შევარდენი“-1906 (თბილისი)
„ბათუმი“ (ბათუმი) — „ივერია“ (ხაშური)
„ცხუმი“ (სოხუმი) — „სამგურალი“ (წყალტუბო)
„ოდიში“ (ზუგდიდი) — „მზიური“ (გალი)
„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „სანავარდო“ (სამტრედია)
„დილა“ (გორი) — „კოლხეთი“ (ხობი)

II ტური
20 მარტი
„ალაზანი“ — „კოლხეთი“
„სანავარდო“ — „დილა“
„მზიური“ — „მერცხალი“
„სამგურალი“ — „ოდიში“
„ივერია“ — „ცხუმი“
„შევარდენი“-1906 — „ბათუმი“
„ამირანი“ — „კოლხეთი“-1913
„სულორი“ — „ქუთაისი“
„მარგვეთი“ — „გორდა“

21 მარტი
„იბერია“ — „გურია“

III ტური
27 მარტი
„გურია“ — „ალაზანი“
„გორდა“ — „იბერია“
„ქუთაისი“ — „მარგვეთი“
„კოლხეთი“-1913 — „სულორი“
„ბათუმი“ — „ამირანი“
„ოდიში“ — „ივერია“
„მერცხალი“ — „სამგურალი“
„ცხუმი“ — „შევარდენი“-1906
„დილა“ — „მზიური“
„კოლხეთი“ — „სანავარდო“

IV ტური

31 მარტი
„ალაზანი“ — „სანავარდო“
„მზიური“ — „კოლხეთი“
„სამგურალი“ — დილა“
„ივერია“ — „მერცხალი“
„ამირანი“ — „ცხუმი“
„სულორი“ — „ბათუმი“
„მარგვეთი“ — „კოლხეთი“-1913
„იბერია“ — „ქუთაისი“
„გურია“ — „გორდა“

1 აპრილი
„შევარდენი“-1906 — „ოდიში“

V ტური
„გორდა“ — „ალაზანი“
„ქუთაისი“ — „გურია“
„კოლხეთი“-1913 — „იბერია“
„ბათუმი“ — „მარგვეთი“
„ცხუმი“ — „სულორი“
„მერცხალი“ — „შევარდენი“-1906
„დილა“ — „ივერია“
„ოდიში“ — „ამირანი“
„კოლხეთი“ — „სამგურალი“
„სანავარდო“ — „მზიური“

VI ტური
14 აპრილი
„ალაზანი“ — „მზიური“
„სამგურალი“ — „სანავარდო“
„ივერია — „კოლხეთი“
„ამირანი“ — „მერცხალი“
„სულორი“ — „ოდიში“
„მარგვეთი“ — „ცხუმი“
„იბერია“ — „ბათუმი“
„გურია“ — „კოლხეთი“-1913
„გორდა“ — „ქუთაისი“

15 აპრილი
„შევარდენი“-1906 — „დილა“

VII ტური
20 აპრილი
„ქუთაისი“ — „ალაზანი“
„კოლხეთი“-1913 — „გორდა“
„ბათუმი“ — „გურია“
„ცხუმი“ — „იბერია“
„ოდიში“ — „მარგვეთი“
„მერცხალი“ — „სულორი“
„დილა“ — „ამირანი“
„კოლხეთი“ — „შევარდენი“-1906
„სანავარდო“ — „ივერია“
„მზიური“ — „სამგურალი“

VIII ტური
24 აპრილი
„ალაზანი“ — „სამგურალი“
„ივერია“ — „მზიური“
„შევარდენი“-1906 —„სანავარდო“
„ამირანი“ — „კოლხეთი“
„სულორი“ — „დილა“
„მარგვეთი“ — „მერცხალი“
„გურია“ — „ცხუმი“
„გორდა“ — „ბათუმი“
„ქუთაისი“ — „კოლხეთი“-1913

25 აპრილი
„იბერია“ — „ოდიში“

IX ტური
1 მაისი
„კოლხეთი“-1913 — „ალაზანი“
„ბათუმი“ — „ქუთაისი“
„ცხუმი“ — „გორდა“
„ოდიში“ — „გურია“
„მერცხალი“ — „იბერია“
„დილა“ — „მარგვეთი“
„კოლხეთი“ — „სულორი“
„სანავარდო“ — „ამირანი“
„მზიური“ — „შევარდენი“-1906
„სამგურალი“ — „ივერია“

X ტური
5 მაისი
„ალაზანი“ — „ივერია“
„ამირანი“ — „მზიური“
„სულორი“ — „სანავარდო“
„მარგვეთი“ — „კოლხეთი“
„იბერია“ — „დილა“
„გურია“ — „მერცხალი“
„გორდა“ — „ოდიში“
„ქუთაისი“ — „ცხუმი“
„კოლხეთი“-1913 — „ბათუმი“

6 მაისი
„შევარდენი“-1906 — „სამგურალი“

XI ტური
12 მაისი
„ბათუმი“ — „ალაზანი“
„ცხუმი“ — „კოლხეთი“-1913
„ოდიში“ — „ქუთაისი“
„მერცხალი“ — „გორდა“
„დილა“ — „გურია“
„კოლხეთი“ — „იბერია“
„სანავარდო“ — „მარგვეთი“
„მზიური“ — „სულორი“
„სამგურალი“ — „ამირანი“
„ივერია“ — „შევარდენი“-1906

XII ტური

16 მაისი
„ალაზანი“ — „შევარდენი“-1906
„ამირანი“ — „ივერია“
„სულორი“ — „სამგურალი“
„მარგვეთი“ — „მზიური“
„იბერია“ — „სანავარდო“
„გურია“ — „კოლხეთი“
„გორდა“ — „დილა“
„ქუთაისი“ — „მერცხალი“
„კოლხეთი“-1913 — „ოდიში“
„ბათუმი“ — „ცხუმი“

XIII ტური

22 მაისი
„ცხუმი“ — „ალაზანი“
„ოდიში“ — „ბათუმი“
„მერცხალი“ — „კოლხეთი“-1913
„დილა“ — „ქუთაისი“
„კოლხეთი“ — „გორდა“
„სანავარდო“ — „გურია“
„მზიური“ — „იბერია“
„სამგურალი“ — „მარგვეთი“
„ივერია“ — „სულორი“
„შევარდენი“-1906 — „ამირანი“

XIV ტური
30 მაისი
„ალაზანი“ — „ამირანი“
„სულორი“ — „შევარდენი“-1906
„მარგვეთი“ — „ივერია“
„იბერია“ — „სამგურალი“
„გურია“ — „მზიური“
„გორდა“ — „სანავარდო“
„ქუთაისი“ — „კოლხეთი“
„კოლხეთი“-1913 — „დილა“
„ბათუმი“ — „მერცხალი“
„ცხუმი“ — „ოდიში“

XV ტური
8 ივნისი
„ოდიში“ — „ალაზანი“
„მერცხალი“ — „ცხუმი“
„დილა“ — „ბათუმი“
„კოლხეთი“ — „კოლხეთი“-1913
„სანავარდო“ — „ქუთაისი“
„მზიური“ — „გორდა“
„სამგურალი“ — „გურია“
„ივერია“ — „იბერია“
„შევარდენი“-1906 — „მარგვეთი“
„ამირანი“ — „სულორი“

XVI ტური

10 ივნისი
„ალაზანი“ — „სულორი“
„მარგვეთი“ — „ამირანი“
„იბერია“ — „შევარდენი“-1906
„გურია“ — „ივერია“
„გორდა“ — „სამგურალი“
„ქუთაისი“ — „მზიური“
„კოლხეთი“-1913 — „სანავარდო“
„ბათუმი“ — „კოლხეთი“
„ცხუმი“ — „დილა“
„ოდიში“ — „მერცხალი“

XVII ტური

14 ივნისი
„მერცხალი“ — „ალაზანი“
„დილა“ — „ოდიში“
„კოლხეთი“ — „ცხუმი“
„სანავარდო“ — „ბათუმი“
„მზიური“ — „კოლხეთი“-1913
„სამგურალი“ — „ქუთაისი“
„ივერია“ — „გორდა“
„შევარდენი“-1906 — „გურია“
„ამირანი“ — „იბერია“
„სულორი“ — „მარგვეთი“

XVIII ტური
21 ივნისი
„ალაზანი“ — „მარგვეთი“
„იბერია“ — „სულორი“
„გურია“ — „ამირანი“
„გორდა“ — „შევარდენი“-1906
„ქუთაისი“ — „ივერია“
„კოლხეთი“-1913 — „სამგურალი“
„ბათუმი“ — „მზიური“
„ცხუმი“ — „სანავარდო“
„ოდიში“ — „კოლხეთი“
„მერცხალი“ — „დილა“

XIX ტური

26 ივნისი
„დილა“ — „ალაზანი“
„კოლხეთი“ — „მერცხალი“
„სანავარდო“ — „ოდიში“
„მზიური“ — „ცხუმი“
„სამგურალი“ — „ბათუმი“
„ივერია“ — „კოლხეთი“-1913
„შევარდენი“-1906 — „ქუთაისი“
„ამირანი“ — „გორდა“
„სულორი“ — „გურია“
„მარგვეთი“ — „იბერია“

ღია წერილი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ბატონ ხუან ანტონიო სამარანჩს

ღრმად პატივცემულო ბატონო!

წინასწარ ბოდიშს გიხდით იმის გამო, რომ გაწუხებთ ერთ, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. თქვენ, სრულიად სამართლიანად, წინა პლანზე წამოსწიეთ ისეთი ცნება, როგორიცაა „სპორტი ყველასათვის"!.

ამით, როგორც მე გავიგე, თქვენ ამბობთ, რომ საჭიროა გაძლიერდეს ყურადღება ე. წ. მასობრივი სპორტისადმი, რისი მიზანიცაა ფიზიკური აღზრდის საერთო ამოცანების გადაწყვეტა. განსაკუთრებით კი — მომეცადინეთა ჯანმრთელობის განმტკიცება.

ამასთან დაკავშირებით, თუ ნებას მომცემთ, მინდა თქვენს წინაშე დავსვა საკითხი: ხომ არ ჯობს ამ მოწოდებას უფრო ფართო შინაარსი მიეცეს?

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სპორტში მეცადინეობა (სპორტული წვრთნა) გულისხმობს უმთავრესად შერჩეულ სახეობაში ფიზიკურ სრულყოფას, იმ მიზნით, რომ სპორტსმენი ოფიციალურ შეჯიბრებებში სათანადოდ გამოვიდეს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ არ იქნება სწორი, ყველას მოვუწოდოთ მაინცდამაინც სპორტში ჩაერთოს.

ამის მორალურ უფლებას მაძლევს ის, რომ ჩემს შრომებში გარკვეული ადგილი უკავია ფიზიკური კულტურის თეორიის ისეთი ფუძემდებლური ცნებების გაშუქებას, როგორიცაა, პირველ ყოვლისა, თვით „ფიზიკური კულტურა" (იგი ყველაზე ფართოა და მოიცავს საგნის ყველა დანარჩენ ცნებებს, მათ შორის სპორტსაც). სპორტში ამ შემთხვევაში იგულისხმება ის სახეობები, რომლებიც აგებულია მომეცადინეთა აქტიური მოძრაობით მოქმედებებზე, ანუ ფიზიკურ ვარჯიშებსა თუ მოძრავ თამაშებზე. ამის მორალურ უფლებას მაძლევს ის გამოცდილებაც, რაც შევიძინე პრაღაში 1972 წელს ფიზკულტურული ტერმინოლოგიისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობით და მდიდარი სპეციალური ლიტერატურის გაცნობით.

ამ მხრივ, ფიზიკური კულტურის საშუალებებს შორის განსხვავებას კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით უმთავრესად მათი გამოყენების მიმართულებაში უნდა ვხედავდეთ. ფიზიკურ კულტურაში ეს საშუალებები ორგანიზმის ჰარმონიულ განვითარებას ემსახურება, ხოლო სპორტში (განსაკუთრებით მაღალი შედეგების მიღწევისას)— მაქსიმალურობას. ამიტომაა, რომ სპორტი აღიარებულია ფიზიკური კულტურის იმ საშუალებათა რიცხვში, რომლებიც ოფიციალურ შეჯიბრებებთან არის დაკავშირებული.

სრულიად გასაგებია თქვენი კეთილშობილური მისწრაფება და ხალხზე ზრუნვა — არ შემოიზღუდოთ მხოლოდ ოლიმპიური სპორტის ინტერესებით.

მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო შემდეგ გარემოებას: რამდენად სწორია ამ დარგში მთელი მუშაობა დავიყვანოთ მხოლოდ სპორტის, თუნდაც მასობრივის, ფართოდ განვითარებაზე?

ადამიანები სხვადასხვა მიდრეკილებითა და ნიჭით არიან დაჯილდოებული, გატაცებული არიან კულტურის სხვადასხვა ელემენტებით. ამიტომაა, რომ ყველას არ სურს და არც შეუძლია მაინცდამაინც სპორტში, თუნდაც მასობრივში, დახელოვნდეს. ასეთებს, პირველ ყოვლისა, სურთ ჰქონდეთ კარგი ჯანმრთელობა, საკუთარი ორგანიზმის სწორი ზრდა-განვითარების საშუალება და არა შეჯიბრებებში გამარჯვება.

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენშიც, სპორტის ცალმხრივი განვითარების ფართო პოპულარიზაციამ ფიზიკურ მომზადებაში ჰარმონიულობის შეუფასებლობამდე მიგვიყვანეს. ეს იმაში გამოიხატა, რომ ადამიანთა საკმაოდ დიდი რაოდენობა შეწუხებულია როგორც თავისი არასაკმარისი ფიზიკური განვითარებით, ისე ჯანმრთელობაში გადახრებით.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ევროპის ბევრ ქვეყანაში ყურადღება გამახვილებულია პირველ ყოვლისა ჯანმრთელობის განმტკიცებასა და ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებაზე. რაც შეეხება მეცადინეობებს ე. წ. საერთო ფიზიკურ მომზადებაში (სპორტის სახეობაში სპეციალური სრულყოფის გარეშე), იგულისხმება ფიზიკური კულტურის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა, იგი მთელი მოსახლეობისთვის სავალდებულოდ არის მიჩნეული.

აი, ამიტომ ვსვამ საკითხს, რომ ალბათ უფრო მართებული იქნება მოვუწოდოთ ყველას, სისტემატურად იმეცადინონ თავიანთი ორგანიზმის ყოველმხრივი ფიზიკური განვითარებისათვის. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იყოს ფიზიკური აღზრდის საშუალებათა მდიდარი არსენალი, მათ შორის ხალხურ-ეროვნული ფიზიკური ვარჯიშები და მოძრავი თამაშები და არ უნდა შევიზღუდოთ მხოლოდ სპორტში, თუნდაც მასობრივ სპორტში მეცადინეობით.

სხვა საქმეა, რომ ფიზიკური აღზრდის საშუალებებით სისტემატური მეცადინეობის პროცესში შეიძლება ე. წ. სასწავლო შეჯიბრებების გამოყენება, რადგან მათი ემოციურობა და მისაწვდომობა აიოლებს და აჩქარებს კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას. მით უმეტეს, რომ ეს ფორმა ხელს უწყობს მომეცადინეებში განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენას და მათ სპორტში ჩაბმას.

მადლიერი ვიქნებით, თუ დაინტერესდებით ფიზიკური კულტურის ამ მსოფლიო თეორიისა და პრაქტიკის პრობლემით, ვინაიდან ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებისა და ეკოლოგიის ამჟამინდელი მდგომარეობა ადამიანის ჯანმრთელობისა და ფიზიკური სრულყოფისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ვიმედოვნებ, ყურადღებას გამოიჩენთ აქ წამოჭრილი საკითხისადმი და ეჭვი არ შემეპარება მისი კონკრეტული გადაწყვეტის შესაძლებლობაში.

ალბათ, შეიძლებოდა (მიზანშეწონილიც იქნებოდა) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა სპეციალური ფორუმის მოწვევა, რომლებიც მოისურვებდნენ მონაწილეობას, ფიქსირებული გამოსვლით. ეს შექმნიდა წინაპირობას თვით ცნება „ფიზიკური კულტურის" არსში უფრო ღრმად გარკვევისა და მისი საშუალებების უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის და ა. შ. რაც შეეხება სპორტს (ამ შემთხვევაში მაღალი მიღწევების სპორტს), იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ფიზიკური აღზრდის საშუალებათა სწორი ორგანიზაციის მწვერვალი.

მეც შემეძლო გამოვსულიყავი ამ ფორუმზე საკუთარი კონცეფციით: „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხალხურ-ეროვნულ საშუალებათა არსი და ადგილი ფიზიკური კულტურის თანამედროვე სისტემაში". თუ გამოსვლის საშუალება მომეცემოდა, შევეცდებოდი სათანადოდ დამესაბუთებინა ამ ბარათში აღძრული საკითხის მართებულობა.

ვფიქრობ, ეს საკითხი ღირსია თქვენი ყურადღებისა.

მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს.

ვასილ ელაშვილი,

პედაგოგიკის მეცნ. დოქტორი, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორი; იუნესკოსთან არსებული სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საერთაშორისო კომიტეტის წევრ-კორესპონდენტი.

სამი შეკითხვა ჩოგბურთის ვარსკვლავებს

თქვენთვის, გულშემატკივრებო!

პრაღის გაზეთ „ჩეხოსლოვენსკი სპორტის" კორესპონდენტმა სამი შეკითხვით მიმართა ჩოგბურთის ვარსკვლავებს:

1. რას იტყვით უკანასკნელ სეზონზე, რა მოგეწონათ, რას მიაქციეთ ყურადღება?

2. რამ მოგიტანათ ყველაზე მეტი უსიამოვნება?

3. რამ გაგაოცათ ყველაზე მეტად?

ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია)

1. მე ახლა აღარა ვარ მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელი, 2. ყველაზე უსიამოვნო იყო ჩემი დამარცხება უიმბლდონის ტურნირის ნახევარფინალში. 3. მე მხიბლავენ ადამიანები, რომლებიც შეუპოვრად შრომობენ.

ბორის ბეკერი (გერმანია)

1. მე ახლა გერმანიაში ძლიერ პოპულარული ვარ. 2. ერთ-ერთი ტელეინტერვიუს დროს ჟურნალისტებმა ისე დამქანცეს, რომ ფსიქოლოგიის პროფესორს შთაბეჭდილებაც კი შეექმნა, თითქოს მე დოპინგს ვიღებ (შემდეგ ხომ დეპრესია იწყება.) 3. ყველაზე ძალიან გამაკვირვა პიტ სამპრასის თავდაჭერის უნარმა, სრულმა სიმშვიდემ აშშ-ს ღია ჩემპიონატის დროს.

ანდრე აგასი (აშშ)

1. ახლა ჩოგბურთის სამყაროში აღარ არის ერთი რომელიმე მკვეთრად გამოხატული ლიდერი. ედბერგი, ბეკერი და ლენდლი დაახლოებით თანაბარი ძალით თამაშობენ. 2. ისე განვიცადე მარცხი აშშ-ს ღია ჩემპიონატის ფინალში, რომ მთელი ხუთი დღის განმავლობაში თავს ცუდად ვგრძნობდი, ავად გავხდი, 3. ჩემზე ძალზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ლენდლის იშვიათმა შეუპოვრობამ და ცდამ, გაემარჯვა უიმბლდონში. სამწუხაროდ, ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა.

პიტ სამპრასი (აშშ)

1. ყველაზე დიდი მოვლენა იყო ჩემი გამარჯვება აშშ-ს ღია ჩემპიონატში. 2. უსიამოვნება იმან მომიტანა, რომ ბევრის აზრით ეს გამარჯვება შემთხვევითი და დაუმსახურებელი იყო. 3. ყველაზე მეტად გამაოცა ანდრე აგასის სიმტკიცემ, რომელმაც „დიდი მუზარადის" ორ უმნიშვნელოვანეს ტურნირში — პარიზსა და ნიუ-იორკში დამარცხების შემდეგ მაინც მოიკრიბა ძალები და მოიგო ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციის ფინალური ტურნირი. რა თქმა უნდა, გასაოცარი იყო მარტინა ნავრატილოვას რიცხვით მეცხრე გამარჯვება უიმბლდონში.

შტეფი გრაფი (გერმანია)

1. ყველა იმ უსიამოვნებას, რომელიც გასულ წელს შემემთხვა, ჩემის აზრით, კარგად ავარიდე თავი. 2. მასზე აღარ მინდა ვიფიქრო. 3. გამახარა გერმანიის გაერთიანებამ.

მონიკა სელეში (იუგოსლავია)

1. ჩემთვის ყველაზე დიდი მოვლენები იყო შტეფი გრაფის ორგზის დამარცხება ბერლინსა და პარიზში. აგრეთვე მოგება ხუთ სეტში გაბი საბატინისთან. 2. ასეთი იყო ჩემი მარცხი აშშ-ს ღია პირველობის მერვედფინალში ლინდა ფერნანდესთან. 3. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა შტეფი გრაფის სიმტკიცემ, რომელიც მსოფლიოში კვლავაც უძლიერესთა შორისაა და აგრეთვე დაშავების შემდეგ მარტინა ნავრატილოვას ტრიუმფულმა დაბრუნებამ და გამარჯვებამ უიმბლდონში.

გაბრიელა საბატინი (არგენტინა).

1. მინდა აღვნიშნო შტეფი გრაფის დამარცხება აშშ-ს ღია ჩემპიონატში. მე განსაკუთრებით იმით ვარ კმაყოფილი, რომ აგრესიული შემტევი სტილით გავიმარჯვე. 2. ყველაზე საწყენი ის იყო, რომ ავსტრალიის ღია ჩემპიონატში დავშავდი და უკვე მესამე წრიდან პორვიკთან თამაშისას ასპარეზობას გამოვეთიშე. 3. მარტინა ნავრატილოვას მეცხრე გამარჯვება უიმბლდონში.

არანტა სანჩესი (ესპანეთი)

ახლა შტეფი გრაფი ერთპიროვნული ლიდერი აღარ არის. „დიდი მუზარადის" ოთხ ტურნირს ხომ ოთხი გამარჯვებული ჰყავდა. 2. „დიდი მუზარადის" შეჯიბრებაში არ მიმართლებდა. 3. ის, რომ ჩემი ძმა ემილიო მსოფლიოს 8 უძლიერეს ჩოგბურთელს შორის მოხვდა. აღტაცებული ვარ ნავრატილოვას თამაშით.

კარატე
空手
KARATE

ყველას, ვისაც იზიდავს

აღმოსავლური ორთაბრძოლები,

იწვევს კარატეს კლუბი „ჯიქი"

(პრეზიდენტი — გოჩა ჯავახია).

კლუბში მუშაობენ კვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელები, ჰყავთ 1990 წლის თბილისის და საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები; კლუბს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქართველოსა და უცხოეთში გამართულ ნებისმიერ ჩემპიონატში.

კლუბი ურთიერთობას ამყარებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ჯერჯერობით კავშირი აქვს ამერიკასთან, იაპონიასა და ჩინეთთან, აწყობს გასვლებს ამ ქვეყნებში, შეუძლია საკუთარი სახსრებით ჩაატაროს ტურნირი, სხვადასხვა ქალაქიდან მოიწვიოს გუნდები და ამ დარგის სპეციალისტები.

კლუბს აქვს ფსიქოლოგიური კაბინეტი, სადაც მუშაობენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. აქვე ეწყობა ლექციები აღმოსავლური ორთაბრძოლების ისტორიის შესახებ, აჩვენებენ სპეციალურ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს.

კარატეს კლუბი „ჯიქი" ეძებს სპონსორებს, რომლებსაც გაუწევს რეკლამას და დაეხმარება უცხოეთის ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებაში.

კლუბს სექციები გააჩნია სხვადასხვა მისამართზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვაკითხონ: თბილისი, ქავთარაძის ქ. № 23, II ექსპერიმენტული სკოლა, ან ყოფილი ცეკას შენობა (მისასვლელი სულხან საბას ქუჩიდან) 19-დან 22 საათამდე).

ცნობებისათვის დარეკეთ: 31-02-79 (11-დან 22 საათამდე) ან 93-76-68 (17-დან 22 საათამდე).

◆ ◆ ◆

ბერტი ფოგტსის კანდიდატები

27 მარტს გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში გაიმართება გერმანიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ, გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა. გერმანელთა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა დაასახელა თავისი გუნდის კანდიდატები ამ მატჩისთვის: **მეკარეები** — ილგნერი და აუმანი; **მცველები** — ბერთოლდი, ბინცი, ბრემე, ბუხვალდი, ჰელმერი, კოლერი, როიტერი; **ნახევარმცველები**— ბაინი, მელერი, ელტცი, ჰესლერი, მათეუსი, ზამერი, ზორცი; **თავდამსხმელები** — დოლი, კლინსმანი რიდლე, ფელერი.

— საბჭოთა გუნდთან შეხვედრაში მინდოდა ის შემადგენლობა გამომეყვანა, რომელიც 1 მაისს ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის მატჩს ბელგიელებთან, — თქვა ბ. ფოგტსმა. — მაგრამ ბრემე და ჰესლერი ჯერჯერობით დაშავებულნი არიან. ჩემი მთავარი საზრუნავია მოვუძებნო შემცვლელი თავისუფალ მცველს აუგენტალერს, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა ფეხბურთელის კარიერა.

ნაკრების კანდიდატთაგან 7 ფეხბურთელი იტალიის კლუბებში თამაშობს, ზამერი და დოლი ახლო წარსულში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებში გამოდიოდნენ, გარდა ამისა, დოლს, ელტცს („ვერდერი") და ზორცს (დორტმუნდის „ბორუსია") ჯერ საერთოდ არ უთამაშიათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ქუთაისის რაგბის ვეტერანთა კავშირი თანაუგრძნობს საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაციის პრეზიდენტს თენგიზ რუხაძეს მამის

სერგო რუხაძის

გარდაცვალების გამო.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი, კორექტორები: მ. ძეძამიძე და ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54.
„მერანი" — 98-97-26, „მართვე" — 98-97-27.

ჩვენი
ინდექსი
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა.
380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოზარაულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20